



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოსხები

მოსხები, ისტორიულ სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი ძველი ქართველი ტომი. ამ ფორმით ეს სახელი გვხვდება ანტ. ხანის ავტორებთან, ჰეკატეოს მილეტელიდან (ძვ. წ. VI ს.) მოყოლებული. მ-ს თვლიან ძვ. აღმოსავლურ (ასურული, ურარტული) წყაროებში მოხსენიებული მუშქების შთამომავლებად და უფრო გვიანდელი მესხების წინაპრებად. მიჩნეულია, რომ მუშქების სამეფოს (ანუ ფრიგიის) დაცემის შემდეგ (ძვ. წ. 676) ამ ტომებმა ჩრდ.-აღმ.-კენ გადაინაცვლეს და სამხრ.-დას. საქართველოში დამკვიდრდნენ. ძვ. წ. V ს-ში მ. სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთის სხვა ტომებთან ერთად (ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები, მარები) აქემენიდთა სპარს. XIX სატრაპიაში შედიოდნენ. მ. მონაწილეობდნენ სპარს. მეფის, ქსერქსეს ლაშქრობაში საბერძნეთზე. ამ დროს ისინი შეიარაღებული იყვნენ მცირე ფარებითა და შუბებით, თავზე კი ხის მუზარადები ეხურათ (ასევე იყვნენ შეიარაღებული ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები).

მ-ის სახელი, ანტ. მწერლების ცნობით, ეწოდება მცირე კავკასიონის ერთ-ერთ განშტოებას (მოსხური მთები). სტრაბონის (I ს.) ცნობით, კოლხეთი მდებარეობდა კავკასიონსა და მოსხურ მთებს შორის.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965; ნ ე რ ე თ ე ლ ი კ., ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხის“ ისტორიისათვის, „საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, 1954, №2; ხ ა ზ ა რ ა ძ ე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები: მოსხები, თბ., 1984; М е л и к и ш в и л ი Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

გ. მელიქიშვილი
